თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 24

„20“ დეკემბერი 2018 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი, ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი, სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;

თელავის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ნუგზარ ბაჩიაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი;

საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სოფიო ოხანაშვილი.

მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი ნინო ტაბიძე;

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ლ.კოჭლოშვილმა, გ.ორკოდაშვილმა, დ.ღაღანიძემ

2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია პროექტში გათვალისწინებული იქნეს 200.0 ათ.ლარი არაფინანსური აქტივების კლება და შესაბამისად გაიზარდოს პრივატიზების მუხლში შემოსავლები. ასევე ინფრასტრუქტურის ღონისძიებების მუხლში, გზების რეაბილიტაცია - 1077,0 ათ.ლარს მოაკლდეს 200,0 ათ.ლარი და ჯამში ეს თანხები (400,0ათ.ლარი) გადანაწილდეს შემდეგნაირად:

1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციის ხარჯი გაიზარდოს 100,0 ათ.ლარით და დაფინანსდეს 320,0 ათ.ლარით;
2. მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების თანხას დაემატოს 50,0 ათ,ლარი და დაფინანსდეს 250,0 ათ.ლარით;
3. მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონსძიებებისათვის გამოყოფილ თანხას დაემატოს 40,0 ათ.ლარი და დაფინანსდეს 70,0 ათ.ლარით;
4. ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებების მუხლში, ახალი ნიაღვარმიმღებების მოწყობას დაემატოს 100,0 ათ.ლარი და დაფინანსდეს 130,0 ათ.ლარით;
5. სპორტის განვითარების ხელშწყობის ღონისძიებების მუხლში, მუნიხიპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ტრენაჟორების მოწყობა - დაემატოს 110.0 ათ.ლარი და დაფინანსდეს 310,0 ათ.ლარით.

და საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნეს შესწორებული ფორმით.

მერიიდან შემოსულ პროექტებთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს გ.ენუქიძემ, ნ.ბაჩიაშვილმა და გ.თავბერიძემ.

გადაწყვიტეს: 2018 წლის 28 დეკემბერს, 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი

12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

2. „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2019 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“

მომხს. გ.ენუქიძე

12.15სთ-დან - 12.30სთ-მდე

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი

12.30სთ-დან -12.45სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.45სთ-დან - 13.00 სთ-მდე

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ.გოგოშვილმა აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება. კომისიას მიაჩნია, რომ 9 თვის შესრულება უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე